საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1553 2016 წლის 28 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ევროკომისიის განათლების, აუდიოვიზუალურ და კულტურის აღმასრულებელ სააგენტოს შორის „შემოქმედებითი ევროპის“ აქტივობისათვის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების შესახებ

„აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების შესაბამისად:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ევროკომისიის განათლების, აუდიოვიზუალურ და კულტურის აღმასრულებელ სააგენტოს შორის „შემოქმედებითი ევროპის“ აქტივობისათვის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულება.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საგრანტო ხელშეკრულებაში შესაბამისი პირობების დაზუსტება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ან საგრანტო ხელშეკრულების მოქმედებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების კორექტირება, მის ხელმოწერამდე ან

ხელმოწერის შემდეგ, გადაწყდეს ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით, საქართველოს მთავრობასთან დამატებით შეთანხმების გარეშე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი